

ნოემბერი 2012-დეკემბერი 2013

1. ინსტიტუციური რეფორმა

სამთავრობო პროგრამაში გარემოსდაცვითი სფერო განსაზღვრულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. შესაბამისად, სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული ფართომასშტაბიანი რეფორმა და საკანონმდებლო ბაზის ცვლილება დაედო საფუძვლად ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვითი ფუნქციების ერთ უწყებაში მოქცევას და ახალი სამთავრობო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახით.

პირველ რიგში, ინსტიტუციური ცვლილებების უზრუნველყოფისა და ზოგიერთი სამართლებრივი ხარვეზის გასწორების აუცილებლობის მიზნით, **მომზადდა და დამტკიცდა 47 საკანონმდებლო აქტი.**

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მოხდა სამინისტროს რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად გაძლიერდა როგორც სამინისტროს ცენტრალური აპარატი, ასევე მის დაქვემდებარებაში შემავალი დაწესებულებებიც. კერძოდ, სამინისტროს სისტემაში შეიქმნა შემდეგი უწყებები: სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ - საბაზისო სანერგე მეურნეობა, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი და საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. სამინისტროს მმართველობაში გადმოვიდა ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება. ამასთანავე, ცენტრალურ აპარატში შეიქმნა ახალი მიმართულებების, კერძოდ, ტყის პოლიტიკის, მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის და ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სტრუქტურული ერთეულები.

ზემოაღნიშნული ინსტიტუციური ცვლილება აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში და მოხდა საბიუჯეტო სახსრების გაორმაგება. სამინისტრო ასევე გაძლიერდა ადამიანური რესურსების კუთხით - **1310** ერთეულით გაიზარდა საშტატო რიცხოვნობა, როგორც სამინისტროს სისტემაში შემავალი ახლად შექმნილი დაწესებულებები, ასევე სამინისტროს ცენტრალური აპარატის გაძლიერების ხარჯზე. ამჟამად, სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება **2151** ერთეულით.

გარდა აღნიშნულისა, საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა 2012 წლის მარტში განხორციელებული ზოგიერთი ცვლილების გაუქმება. კერძოდ, გაუქმდა „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც გულისხმობდა ნადირობის დაშვებას წითელი ნუსხის სახეობებზე, ასევე „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც გულისხმობდა საქმიანობის

განმახორციელებლის გათავისუფლებას გარემოზე მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობისგან მთავრობასთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

2.სატყეო სექტორი

მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ტყეების მართვის ევროპულ მოდელზე გადასვლის შესახებ. გაიმიჯნა ტყის პოლიტიკის შემუშავების, ტყის მართვის განხორციელების და ზედამხედველობის ფუნქციები სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის. **შემუშავდა და საქართველოს პარლამენტის მიერ ერთხმად დამტკიცდა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ქვეყნის სატყეო სექტორის სამომავლო განვითარებისათვის.**

ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის პარალელურად სამინისტრომ დაიწყო გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება ამ სფეროში. კერძოდ:

- დაიწყო ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაცია (45 000 ჰა);
- განხორციელდა მავნებელთან (მბეჭდავი ქერქიჭამია) ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, განთავსდა 5156 ცალი ფერომონიანი მჭერი;
- ბორჯომის ხეობაში სოფ. დაბის მიმდებარედ 2008 წელს ხანძრით განადგურებული ტყის 16,3 ჰა ფართობზე დასრულდა ტყის აღდგენის სამუშაოები, დაირგო 22 500 ნერგი, შეტანილ იქნა 60 კგ თესლი;
- შემუშავდა ცვლილებები მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში და შეიქმნა ახალი რეგულაციები:
 - აღდგა ხე-ტყის მოძრაობის კონტროლის მექანიზმები (მორების დაფირნიშების, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების შევსების, ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტებისა და მრგვალი მორის სახერხი საამქროების ანგარიშგების ვალდებულება და სხვა), გამკაცრდა სანქციები ბრაკონიერობისათვის;
 - შემუშავდა და დამტკიცდა ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესი.
- მოსახლეობის სათბობ შემაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, გამოიყო ტყეკაფები. 2011-2012 წლების ნაშთთან ერთად, 2013 წელს გამოყოფილი ტყეკაფების მოცულობამ შეადგინა 1 775 934,442 მ³;
- მოსახლეობაში მერქნული რესურსების სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის #242 დადგენილებაში, რომლის თანახმად, დაწესდა ზღვარი კომლზე გასაცემ საშუაზე მერქანზე, შეიცვალა ხე-ტყის დამზადების ბილეთის ვადა და დაიხვეწა სამასალე მერქნის გაცემის პროცედურა.

შემუშავდა ეროვნული სატყეო სააგენტოს სამოქმედო გეგმა და 2014 წლისათვის დაიგეგმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის:

- 17 კმ სატყეო სამეურნეო გზების გაყვანა რეგიონების მიხედვით;
- ტყის ინვენტარიზაციის გაგრძელება, რომელიც მოიცავს ხარაგაულის სატყეო უბანს (48 000 ჰა);
 - ტყის მოვლის ღონისძიებები - ბზის სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა (დაახლოებით 50 000 ჰა ფართობზე), მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის ღონისძიებების გაგრძელება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, თბილისის გარშემო არსებულ ტყის ფონდში მზომელების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელება (დაახლოებით 1000 ჰა ფართობზე);
 - ტყის აღდგენის ღონისძიებები - ბორჯომის ხეობაში ხანძრით დაზიანებულ ფართობებზე აღდგენითი ღონისძიებების გაგრძელება, წინასწარ გამოვლენილ ფართობებზე ტყის აღდგენის კომპლექსური ღონისძიებების წარმოება, ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა;
 - ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები - ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურის (მინერალიზებული ზოლები, ბილიკები და სხვ.) მოწყობა, ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი ინვენტარის (ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი) საშუალებების შეძენა, განსაკუთრებით ხანძარსაშიშ უბნებში (ძირითადად საკურორტო ტყეებში რეკრეაციული ზონების მიმდებარედ და ა.შ) საინფორმაციო დაფების და სპეციალური ნიშნების განთავსება;
 - ბიომასის შეფასება და მისი ალტერნატიულ სათბობ რესურსად გამოყენების პერსპექტივის ანალიზი.

3.გარემოსდაცვითი ზედამხედველობა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის:

- 7 ტერიტორიული ორგანო
- შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური.

საკანონმდებლო ცვლილებები:

- გამკაცრდა სანქციები უკანონო თევზჭერაზე;
- აიკრძალა ელექტრონული იმიტატორების გამოყენებით გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა.


14 მაისიდან 12 დეკემბრის ჩათვლით გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 2 681 ფაქტი, აქედან:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 2 574 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების – 107 ფაქტი.

გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 6 592 656 ლარი, აქედან:

- სისხლის სამართლის ნიშნების ფაქტებზე - 6 218 260.0 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 374 396 ლარი.

ადმინისტრაციული ჯარიმის თანხამ შეადგინა 1 498 390 ლარი.



შემოწმდა ხე-ტყის დამზადების 10 სპეციალური ლიცენზია:

- შემოწმების მასალები 9 საქმესთან დაკავშირებით გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის;
- 1 ლიცენზიის პირობების შემოწმება შეჩერდა კლიმატური პირობების გაუარესების გამო.

შემოწმდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 25 ლიცენზია:

- გამოვლინდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის 392 ფაქტი;
- 2012 წლის ანგარიშების წარმოდგენლობის გამო დაჯარიმდა 325 ლიცენზიანტი;
- მიმდინარეობს ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ანგარიშების, ათვისების გეგმების და სხვა სავალდებულო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენის მონიტორინგი და რეაგირების გატარება;
- დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე გაუქმდა 1 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

გამოვლინდა 7 საწარმო, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე აწარმოებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას.


4. გარემოზე ზემოქმედების ნებართვები

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა გზშ-ის სექტორული გზამკვლევები შემდეგი საქმიანობებისთვის:

- ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა;
- ნავთობტერმინალების და ნავთობსაცავების განთავსება;
- ცემენტის წარმოება;
- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;
- ასფალტის წარმოება;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა;
- ნარჩენების განთავსება.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულების მიზნით განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ანალიზი საერთაშორისო და ესპოს კონვენციის (კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გზშ-ის ჩატარების შესახებ) მოთხოვნებთან მიმართებაში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. მიმდინარე საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, საზოგადოების და ყველა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას გზშ-ს პროცედურებში და გარემოსდაცვითი საკითხების უკეთ გათვალისწინებაში.

2013 წელს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობების მიხედვით გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები/გარემოზე ზემოქმედების ნებართვები (სულ 65)



5. ბიომრავალფეროვნება

ბიომრავალფეროვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა და დასრულების ფაზაშია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (NBSAP) 2014-2020 წლებისთვის.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებისა და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ფლორისა და ფაუნის სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაცვა, ნადირობისა და თევზჭერის რეგულირება, საქართველოს წითელი ნუსხის შედგენა, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების დაცვა, მონიტორინგი, კონტროლი და პასუხისმგებლობა; „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების დაცვა. ამასთანავე, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ნადირობის სრულიად ახალი სისტემის დანერგვას ითვალისწინებს.

გრძელდება მონიტორინგი ცხოველთა სამყაროს ”წითელი ნუსხის” სახეობებზე. ეს სახეობებია: აღმოსავლეთ კავკასიური (დადესტნური) ჯიხვი, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, ნიამორი, ირემი, კავკასიური როჭო, კასპიური შურთხი.

შემუშავდა ”ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ” კანონის პროექტი, რომელშიც ასახულია გენმოდირეცირებული თესლისა და სანერგე მასალის იმპორტის

აკრძალვის საკითხები. კანონის მიღებით დარეგულირდება: ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუცირების აკრძალვის, სურსათად ან ცხოველთა საკვებად გამოყენების ან გადამუშავების, ჩაკეტილ სისტემებში გამოყენების საკითხები. ასევე შეიქმნება კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა გარემოში მათი არალეგალური ან განუზრახველი გამოთავისუფლების შემთხვევების გამოსავლენად.

6. დაცული ტერიტორიები

- მიღებულ იქნა კანონი “საქართველოს კანონის ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭებას შემდეგი ობიექტებისათვის:

- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი (ადიგენის მუნიციპალიტეტი)
- დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი (წალკის მუნიციპალიტეტი)
- სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)
- მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი (ტყიბულის მუნიციპალიტეტი)
- ბოდორნის კლდის სვეტები (დუშეთის მუნიციპალიტეტი)
- ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)
- ქეთერისის მინერალური ვოკლუსის ბუნების ძეგლი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი)
- სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსი (მოიცავს 8 ბუნების ძეგლს - ჩხოროწყულსა და მარტვილის მუნიციპალიტეტები).

- სამინისტრომ ხელი მოაწერა გერმანიის მთავრობასთან ახალ საგრანტო ხელშეკრულებას **8.250.000 ევროს** გამოყოფის შესახებ; ეს თანხა უნდა მოხმარდეს ოთხი ახალი დაცული ტერიტორიის (ფშავ-ხევსურეთი, ყაზბეგი, ალგეთი, კინტრიში) დაარსება/განვითარებას.

- გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (BMZ) და WWF გერმანიის დაფინანსებით ჭაჭუნის ალკვეთილში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმდინარეობს ჭალის ტყის აღდგენა-რეაბილიტაცია. შემოღობილია 80 ჰა ფართობი, მიმდინარე წლის შემოდგომაზე განხორციელდება ნერგების დარგვა და ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები;

- თუშეთში ფიჭვნარების ხმობასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში მომზადდა პროექტი თუშეთის დაცული ტერიტორიების ფიჭვნარების შესწავლისა და მათი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავების შესახებ. პროექტის ფარგლებში 2014 წლიდან განხორციელდება თუშეთის ფიჭვნარების გაჯანსაღების ღონისძიებები.

- კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით 5 დაცული ტერიტორიის (ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთისა და მტირალას ეროვნული პარკები) ადმინისტრაციის 190 თანამშრომლისათვის განხორციელდა სახელფასო დანამატის გაცემა. მიმდინარეობს ლაგოდეხის, თუშეთის, ვაშლოვანისა, მტირალასა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია, ასევე აუცილებელი ტექნიკის შეძენა.

- გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, რომელიც დამტკიცდება დეკემბერში. ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჯავახეთის ეროვნული პარკის მიმდებარე 9 სოფელში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები), სასმელი წყლის მომარაგების პროექტის განხორციელება.

- ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებითა და ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ჩართულობით მომზადდა თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა.

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და შპს „ენერგოტრანს“-ს მოხდა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამავალი ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობის დროს დაზიანებული მონაკვეთების კომპენსაციას. კერძოდ დაგეგმილია მიწის საფარის აღდგენა, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შეძენა და რეინჯერთა სადგურის მოწყობა.

- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე გადაშენებული სახეობების აღდგენის მიზნით, აზერბაიჯანთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შემოყვანილ იქნა 10 ქურციკი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები დამატებითი რაოდენობის შემოსაყვანად;

- სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ერთობლივი მუშაობის შედეგად, მომზადდა და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა კანონპროექტები **ბუნების ძეგლების შესახებ. კანონის** მიზანია თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, არქეოლოგიური კომპლექსების, ბუნების იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა. ასევე მომზადდა კანონი **ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ**, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას.

7. რადიაცია

- დაიწყო „სააკადის“ რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვის გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად.
- 2014 წლის მაისიდან ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობის რეგულირების მიზნით გაიცა 46 ლიცენზია და 18 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე. ჩატარდა მაღალი რისკის ობიექტების ინსპექტირება. 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა რეაგირება 31 რადიაციულ ინციდენტზე, მათ შორის 2 არალეგალური მიმოქცევის ფაქტზე. განხორციელდა 12 მაღალაქტიური რადიაციული წყაროს გადატანა და უსაფრთხო განთავსება რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალურ საცავში.
- დამონტაჟდა და ამოქმედდა 1 ცენტრალური და 7 რადიაციის გამზომი ავტომატური სადგური შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, თელავი, მესტია, ბოლნისი, ბათუმი და ახალციხე. აღნიშნული სისტემის ამოქმედებით დაიწყო გამა რადიაციული ფონის უწყვეტი მონიტორინგი და თბილისში მონაცემების ავტომატურად გადმოცემა ყოველ 6 საათში.
- შემუშავდა და დამტკიცდა „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესი“. იგეგმება „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელება კანონის დებულებების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

8. ატმოსფერული ჰაერის დაცვა

ავტოტრანსპორტიდან გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით, სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა უწყებათშორისი კომისია, რომელმაც მოამზადა 2013-2016 წლების სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად მიზნად ისახავს:

- ✓ ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ეტაპობრივი გამკაცრებასა და საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის დაწესებას;
- ✓ კომპიუტერული მოდელირების გზით, თბილისის ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შეფასებას, ავტოტრანსპორტით გადატვირთული უბნების გამოვლენასა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ეკოქიმიური მდგომარეობის შესწავლას;
- ✓ ტრანსპორტით გადატვირთულ დედაქალაქის უბნებში მცხოვრები, დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

შეიქმნა ჰაერის ხარისხის კომპიუტერული მოდელი ქ. თბილისისთვის, რაც ხელს შეუწყობს ჰაერის ხარისხის შეფასებას და მონიტორინგის ქსელის სამომავლო გაფართოების სწორად დაგეგმვას.

ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების უკეთ რეგულირების და ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით მომზადდა პროექტი, რომელს

მიხედვითაც 2014 წლის 5 იანვრიდან ამოქმედდება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ოზონდამშლელი ნივთიერებების რეგულირების ნაწილში.

იაპონიის მთავრობა გეგმავს პროექტის „იაპონური მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (SME) პროდუქციით მომარაგების არასაპროექტო საგრანტო დახმარება (2013)“ განხორციელებას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 200 მილიონ იაპონურ იენს, რომელსაც გაიღებს იაპონიის სახელმწიფო გრანტის სახით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი აღჭურვილობის შეძენა ლაბორატორიებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ანთროპოგენური საფრთხეებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებას და ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სრულყოფას.

9. წყლის რესურსების მართვა

შემუშავდა კანონპროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რითაც აღდგება წყალაღებისა და წყალჩაშვების რეგულირების სამართლებრივი მექანიზმები. კანონპროექტი წლის ბოლომდე წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მიმდინარეობს წყლის რესურსებზე დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზება. დაემატა ზედაპირული წყლების მონიტორინგის წერტილების რაოდენობა. 2014 წლისთვის დაგეგმილია გაზომვების განხორციელება 10 დამატებით წერტილში. დაწყებულია რეგულარული ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი 44 წერტილში, რაც ხელს შეუწყობს წყლის ობიექტების არა მხოლოდ ქიმიური, არამედ ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებას.

ათვისებულ და დანერგილ იქნა ახალი სტანდარტები და მეთოდები, რითაც შესაძლებელი გახდა ზედაპირულ წყლებში ისეთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებლების გაზომვა, როგორცაა ციანიდები, ნავთობპროდუქტები, ჯამური აზოტი, ფოსფატები და სხვა. ასევე, თანამედროვე ხელსაწყოს შეძენის შემდეგ შესაძლებელი გახდა წყალში მძიმე ლითონების შემცველობის დიდი სიზუსტით განსაზღვრა.

მოხდა ალაზანი-აგრიჩაის მიწისქვეშა არტეზიულ აუზში ჭაბურღილების მოკვლევა. რამოდენიმე მათგანზე საპილოტოდ დამონტაჟდა თანამედროვე მოწყობილობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგი. ანალოგიური სამუშაო და კვლევები აღნიშნულ აუზში არ ჩატარებულა 90-იანი წლების შემდეგ. დაგეგმილია რეჟიმული მონიტორინგის ქსელის გაფართოება.

დასრულების პორცესშია მოლაპარაკებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის მდინარე მტკვრის აუზის წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებაზე.

10. ნარჩენების მართვა

შემუშავდა კანონპროექტი ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც უკვე დაეგზავნა სხვადასხვა სამინისტროებს წინადადებებისა და შენიშვნებისთვის. მიმდინარეობს მუშაობა კანონქვემდებარე აქტების პროექტებზე. შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის პროექტი.

მუშავდება ნორმატიული აქტების პაკეტი სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და განთავსების შესახებ.

დაწყებულია თანამედროვე სტანდარტების სანიტარული ნაგავსაყრელის სამშენებლო სამუშაოები ბორჯომში. პროექტი, რომელსაც ნიდერლანდების მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს ჰოლანდიის არასამთავრობო ორგანიზაცია "ამეკო" გარემოს დაცვის სამინისტროსთან და ბორჯომის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, ითვალისწინებს:

- ნაგავსაყრელზე ახალი უჯრედის მოწყობას;
- უჯრედზე ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობას;
- სადრენაჟო სისტემის მოწყობას;
- ძველი ნარჩენების მიწის ფენით გადაფარვას;
- მთლიან ნაგავსაყრელზე წყალარინების სისტემის მოწყობას;
- სასწორის ინსტალაციას;
- გამონაჟური წყლებისათვის გამწმენდი გუბურის მოწყობას და სხვა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნაგავსაყრელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები. წინასწარი ინფორმაციით სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 2013 წლის ბოლომდე.

სამედიცინო-ინფექციური ნარჩენების გარემოსდაცვითი სტანდარტებით გასანადგურებლად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში იგეგმება 2 თანამედროვე ინსინერატორის მოწყობა.

მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შემცველი პესტიციდების საზღვარგარეთ გატანა-განადგურებაზე (ჯამში 230 ტონა). ამ მიზნით შესწავლილი და შეფასებულია იალლუჯას შხამქიმიკატების პოლიგონი, შემოღობილია სამარხის ტერიტორია.

ხელი მოეწერა ვერცხლისწყლის შესახებ მინამატას კონვენციას. ამ ქმედებით საქართველო უერთდება გლობალურ ძალისხმევას, რომლის მიზანია დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლის ნაერთების ანთროპოგენური ემისიებისგან.

პროექტის „დარიშხანის სამთო ნარჩენების მართვა საქართველოში“ შესწავლილ იქნა დარიშხანშემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ტერიტორია ამბროლაურის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში; მომზადდა სამარხის დამცავი ჯებირის, ასევე შემოღობვის პროექტი და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გადაეგზავნა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდგომში სამშენებლო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. დაიგემა ლენტეხის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენებისათვის სამარხების მშენებლობის პროექტების მომზადება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით. სამუშაოები განხორციელდება იგეგმება 2014 წელს (იანვარი-აპრილი); ორივე მუნიციპალიტეტისათვის მიმდინარეობს სამარხების მოწყობისათვის მიწის ფართობების გამოყოფა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ზემოაღნიშნული პრობლემის სრულად გადაწყვეტის მიზნით, ტექნიკური დახმარებისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის, მიმართა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს (ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა, შვეიცარიის საელჩო, ჰოლანდიის საელჩო).

11. მიწის მართვა

გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ეროზიების შემცირების მიზნით, სამინისტროს კოორდინაციით მუშავდება ქვეყნის გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა. პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას 2014 წლის პირველ ნახევარში.

აღდგა ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი, რომლის საფუძველზეც წლის ბოლოს გამოქვეყნდება 2013 წელს ჩატარებული კვლევების შედეგების ამსახველი წელიწადიური.

სამინისტროს მონაწილეობა საქართველოში მიწის მართვის სამართლებრივი რეგულირების სფეროში:

„საქართველოში მიწის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“-ს (შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის N253 დადგენილებით) ფარგლებში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამინისტროს სისტემის ფარგლებში წარმართული კონსულტაციების შედეგად მომზადდა

დოკუმენტი, რომელიც ეხება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს მიწის საკითხების სამართლებრივი რეგულირების შესახებ, კერძოდ:

მომზადდა ცვლილებების პროექტი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ითვალისწინებს, დემარკაციის განხორციელების დროს დაცული ტერიტორიიდან როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების მართლზომიერ საკუთრებაში არსებული ტერიტორიების, ასევე იმ ინფრასტრუქტურული ელემენტების ამოირიცხვას, რომლებიც არ არის დამახასიათებელი დაცული ტერიტორიისთვის.

აღნიშნული პროექტის ძალაში შესვლის შემდგომ გადაწყდება დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაცული ტერიტორიების საზღვრებიდან ამოირიცხვის მრავალწლიანი პრობლემა.

დაგეგმილია სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, ტყის ფონდის რეალური საზღვრების დადგენისა და ტყის ფონდი მიწების რეგისტრაციის გზით, რაც თავისთავად გამოირიცხავს მართვის ორგანოსთან შეთანხმების გარეშე ტყის ფონდის მიწების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე რეგისტრაციას.

12. კლიმატის ცვლილება

დასრულდა საქართველოს სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის მესამე ანგარიში, რომელიც ასახავს სათბურის გაზების ემისიის რაოდენობას 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით.

დაიწყო ახალი პროექტი „ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს ტყეებში დაგროვილი გამოუყენებელი ბიომასის, ასევე სახერხი საწარმოების ნარჩენების და სხვა სახის ბიომასის გადამუშავებას ენერგეტიკული მოხმარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალური შენობების გასათბობად. პროექტი შეასრულებს საპილოტე პროექტის როლს ქვეყანაში ბიომასის წარმოებისა და გამოყენების დანერგვასა და გავრცელებაში, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სუფთა ენერგიით და ამასთანავე განტვირთავს ტყეებს ნარჩენებისაგან და შეამცირებს სათბურის გაზების ემისიებს.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგია შექმნის საფუძველს ქვეყნის ენერგოეფექტური და მაღალტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისთვის.

13. სტიქიური მოვლენები, ჰიდრომეტეოროლოგია და გეოლოგიური პროცესები

მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისათვის“.

ფორს-მაჟორულ სიტუაციაში გეოლოგიური სტიქიის გააქტიურების პირობებში შეფასებული იქნა 55 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 338 ოჯახის საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი; განხორციელდა მეწყერულ-ღვარცოფული პროცესების კატალოგიზირება და შედგა 450-მდე კადასტრი.

ექსპლואატაციაში შევიდა 10 ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო. მიმდინარეობს აღნიშნული ქსელის შემდგომი გაფართოების პროცესი. 2014 წლისთვის სხვადასხვა რეგიონში დამატებით დამონტაჟდება 40-ზე მეტი ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტი. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას და მოსალოდნელი ამინდის და ჰიდროლოგიური პროცესების პროგნოზების გამართლებადობის ამაღლებას.

14. საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველო გარემოსდაცვითი პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებს აყალიბებს საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პრინციპების, ასევე გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის გარემოსდაცვითი მიმართულებების და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების მოთხოვნების საფუძველზე. ამავდროულად, საერთაშორისო პროცესებში ქვეყნის აქტიური ჩართვა არის წინაპირობა იმისა, რომ გაიზარდოს საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური თანადგომა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საუკეთესო სამეწარმეო პრაქტიკის დასანერგად.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების გრაფიკის შესაბამისად, სამინისტრო ამზადებს სამოქმედო გეგმას.

სამინისტროს ხელშეწყობით ქვეყანაში მიმდინარეობს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ დაფინანსებული 70-მდე გარემოსდაცვითი თემატიკის პროექტი. მიმდინარე პროექტების მართვის და სამომავლო საპროექტო წინადადებების სწორი შერჩევის მიზნით სამინისტროს ჩამოყალიბებული აქვს დონორთა კოორდინაციის სისტემა. დონორთა კოორდინაციის შეხვედრებს აქვს როგორც ზოგადი, ასევე სექტორული ხასიათი.

2013 წელს დაწყებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გარემოსდაცვითი პროექტები

2013 წელს დაწყებული გარემოსდაცვითი პროექტების საერთო ბიუჯეტი (გრანტი) საქართველოსთვის შეადგენს დაახლოებით **26 300 000** აშშ დოლარს. ეს პროექტებია:

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება (2013-2015);
2. მტირალას ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება (2013 - 2015);
3. აჭარის რეგიონში დაცული ტერიტორიების (მაჭახელა) ქსელის გაფართოება და მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესება (2013 - 2016);
4. “საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის გაძლიერება” –ევროკავშირის საჯარო სამსახურებთან დაძმობილების (Twinning) პროექტი (2013 - 2015);
5. ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში (2013 - 2016);
6. კლიმა-ისტ: კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა ევროპის სამეზობლო პარტნიორობა-აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში (2013 - 2016);
7. საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით (2013 - 2016);
8. ევროპის აღმოსავლეთ თანამშრომლობის ქვეყნების მწვანე ეკონომიკის პროგრამა (2013 – 2016);
9. ჩეხეთის განვითარების პროექტი ალაზანი–აგრიჩაის რეზერვუარის მიწისქვეშა წყლის დონეებისა და ხარისხის მონიტორინგის რეაქტივაციისათვის (2013).
10. Small Grants (GeF) ურთიერთგადამკვეთი სფეროები (2013);
11. შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება (EMBLAS) (2013-2014).

ინფორმაცია 2013 წელს დაწყებული გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ:

სფერო	მოზიდული დაფინანსება (აშშ დოლარი)
ბიო და დაცული ტერიტორიები (5 პროექტი)	14 682 000
კლიმატის ცვლილება (2 პროექტი)	6 796 509
ურთიერთგადამკვეთი საკითხები (3 პროექტი)	4 707 540
მცირე გრანტების პროგრამა (13-ზე მეტი პროექტი)	750 000
სხვა (2 პროექტი)	68 750
სულ	27 004 799

15. მოხსენებები და პუბლიკაციები

- მომზადდა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) განხორციელების ეროვნული ანგარიში;

- მიმდინარეობს მუშაობა 2010-2012 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაზე. მოხსენების ცალკეული თავი მომზადებული იქნება ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ რეკომენდირებული გარემოსდაცვითი ინდიკატორების შესაბამისად;

- სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა პუბლიკაციის „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“ სრულყოფისა და მისი საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის (მოდერნიზების) მიზნით.

16. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან:

- გაუმჯობესდა კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის, სამეცნიერო წრეებთან და არასამთავრობო სექტორთან

- სახეზეა დაინტერესებული მხარეების უპრეცედენტო ჩართულობა და სამინისტროს ნდობის ამაღლება

- ჩატარდა ათზე მეტი შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან თბილისსა და რეგიონებში
- მუდმივად იმართება საჯარო განხილვები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით
- შეიქმნა მინისტრის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭო არასამთავრობო

ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი სპეციალისტების შემადგენლობით

- იგეგმება სამეცნიერო საბჭოს ფორმირება

ურთიერთობა ბიზნეს-სექტორთან:

- დაიწყო დიალოგი ბიზნეს-სექტორთან
- დაიგეგმა „მწვანე“ ბიზნესის წახალისების ღონისძიებები
- იგეგმება ყოველწლიური ანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვა
- წინასწარ გამოცხადდება (გამოქვეყნდება) შესამოწმებელი ობიექტების ნუსხა ან ბიზნეს-სექტორი, რომლებიც შემოწმდება საანგარიშო პერიოდში

- შერჩევასა გათვალისწინებული იქნება საწარმოს გარემოსდაცვითი მართვის და აუდიტის (ISO 14000, EMAS), თვითმონიტორინგის სისტემების, რესურსდამზოგი და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების არსებობა

- იგეგმება იმ კომპანიების წახალისება, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ნერგავენ თანამედროვე გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს

- იგეგმება ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ნათელი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შემოღება.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

- მუდმივად იმართება საჯარო განხილვები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით
- ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად და მათი შესრულების მიზნით გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია გარემოს დაბინძურების მონიტორინგის შედეგების შესახებ გახდა უფასო
- პერიოდულად იმართება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის; სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობა მიიღო 10 000-ზე მეტმა ადამიანმა
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არასამთავრობო სექტორის მიერ აღიარებული იქნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე სახელმწიფო დაწესებულება.